



## ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტმა ანტონიმ ჩრდილოეთ მაკედონიაში სერბეთის ეკლესიის მონასტრის დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა



2021 წლის 26 ნოემბერს, წმინდა იოანე ოქროპირის ხსენების დღეს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველმა ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტმა ანტონიმ ბიტოლაში (ჩრდილოეთი მაკედონია) სერბეთის საპატრიარქოს მონასტრის ტაძრის დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა. ამის შესახებ იერარქის „ფეისბუქის“ გვერდზე გავრცელებულ შეტყობინებაშია ნათქვამი.

ოქროპირის მონასტერში ვიზიტი კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს ლოცვა-კურთხევით შედგა.

წირვის დასრულების შემდეგ მიტროპოლიტმა ანტონიმ ოხრიდის მთავარეპისკოპოს იოანეს მოსახელე წმინდანის დღე მიულოცა და ღვთის ყოვლისშემძლე შეწევნა და ქრისტეს ეკლესიის მრავალწლიანი მსახურება უსურვა.

*სსკგ-ის კომუნიკაციების სამსახური*

*მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის*

*ვებ-გვერდის ინფორმაციის მიხედვით*

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88535/>